საქმე №010332223900153018

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-01-23 1 მარტი, 2023 წელი
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:
თავმჯდომარე - გოჩა აბუსერიძე (მომხსენებელი)
მოსამართლეები - ალექსანდრე წულაძე
რევაზ ნადარაია

სხდომის მდივანი - მ--- ჯ--------

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ნ--- მ---------ე
წარმომადგენლები - ლ--- ს---------, ლ---- ჭ-----

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ----- ხ----------

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 22 ოქტომბრის №076/21 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2021 წლის 1 ნოემბერს, ადვოკატ ნ--- მ---------ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით, ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ლ---- ბ-----ემ.

ლ---- ბ-----ის განმარტებით, ადვოკატი ნ--- მ---------ე საადვოკატო

მომსახურებას უწევდა სამოქალაქო დავაში 2018 წლიდან. დავა ეხებოდა მოვალე ე–––-- კ----------ისათვის თანხის დაკისრებას. მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 500 აშშ დოლარი, რომელიც კლიენტმა ადვოკატს სრულად გადაუხადა. იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე წერილობითი ხელშეკრულებით (გაფორმებული 2018 წლის 28 მარტს) ადვოკატისთვის წარმატების ჰონორარის გადახდა გათვალისწინებული არ ყოფილა.

მითითებულ საქმეზე ადვოკატ ნ--- მ---------ის ჩართულობით, 2021 წლის 28 მაისს მხარეები მორიგდნენ რუსთავის საქალაქო სასამართლოში და სასამართლომ მიიღო განჩინება (საქმე N2-1415-19) მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. განჩინების თანახმად, ე–––-- კ----------ს ლ–––– ბ–––---ის სასარგებლოდ დაეკისრა 21000 აშშ დოლარის გადახდა. მოვალეს თანხა ნაწილ-ნაწილ უნდა ჩაერიცხა ადვოკატ ნ--- მ---------ის საბანკო ანგარიშზე ლ–––– ბ–––--- ისათვის გადასაცემად შემდეგი პირობებით: 4000 აშშ დოლარი - არაუგვიანეს 2021 წლის 28 ივნისისა, ხოლო დანარჩენი 17000 აშშ დოლარი - არაუგვიანეს 2021 წლის 28 სექტემბრისა. ლ–––– ბ–––---ის განმარტებით, ნ--- მ---------ემ მორიგების აქტში კლიენტის საბანკო ანგარიშის ნომრის ნაცვლად საკუთარი საბანკო ანგარიშის ნომერი მასთან შეთანხმების გარეშე მიუთითა.

მას შემდეგ, რაც მოვალე ე–––-- კ----------მა დაარღვია მორიგების პირობები, ადვოკატმა ნ--- მ---------ემ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარადგინა სააღსრულებო ფურცელი და დააზუსტა მოთხოვნა. ადვოკატმა განცხადებაში მიუთითა, რომ მოვალეს უკვე გადახდილი ჰქონდა 4000 აშშ დოლარი და კრედიტორის მოთხოვნა ნაცვლად 21000 აშშ დოლარისა, შეადგენდა 17000 აშშ დოლარს. ლ–––– ბ–––---ის განცხადებით, ადვოკატმა მისი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე ე–––-- კ----------ისაგან მიიღო 4000 აშშ დოლარი, რომელიც არ დაუბრუნა კლიენტს და მოგვიანებით განუმარტა, რომ დასახელებული თანხა წარმოადგენდა ადვოკატის წარმატების ჰონორარს, რაზეც მხარეები არც წერილობით და არც ზეპირად არ შეთანხმებულან. ამასთან, ლ–––– ბ–––---ის განმარტებით, იგი ინფორმირებული არ იყო ადვოკატ ნ--- მ---------ის სპეციალიზაციის თაობაზე.

ლ–––– ბ–––---ის წარმომადგენელმა, მანუჩარ ჭუმბურიძემ ეთიკის კომისიის 2022 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატ ნ--- მ---------ემ და ლ–––– ბ–––---ემ სცადეს მორიგება, თუმცა უშედეგოდ - ადვოკატს მოვალისაგან მიღებული 4000 აშშ დოლარი კლიენტისათვის არ დაუბრუნებია.

2022 წლის 16 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ--- მ---------ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ნ--- მ---------ის მიერ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“

საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი, მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი და მე-8 მუხლის მე-15 პუნქტი.

ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინური კოლეგიის 2022 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას. განხილვის კოლეგიამ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად მიიჩნია, რომ ადვოკატის მიმართ სახდელის სახით შესაძლოა გამოყენებულიყო გაფრთხილებაზე მეტი - განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ადვოკატ ნ--- მ---------ესა და ლ---– ბ---–---ეს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2018 წლის 28 მარტს. ადვოკატ ნ--- მ---------ეს ლ---– ბ---–---ისთვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია სამოქალაქო საქმეზე, რომელშიც მოდავე მხარეებს წარმოადგენდნენ ლ---– ბ---–---ე და ე–---- კ-------–---ი.
- ადვოკატ ნ--- მ---------ეს აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია.
- მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენდა 500 აშშ დოლარი.
- 2021 წლის 28 მაისს, ადვოკატის ჩართულობით, რუსთავის საქალაქო სასამართლოში ლ---– ბ---–---ესა და ე–---- კ----------ს შორის შედგა მორიგება და მოვალეს ლ---– ბ---–---ის სასარგებლოდ დაეკისრა 21000 აშშ დოლარის გადახდა. მოვალეს თანხა ლ---– ბ---–---ისათვის გადასაცემად უნდა ჩაერიცხა ადვოკატ ნ--- მ---------ის საბანკო ანგარიშზე: პირველ ეტაპზე, არაუგვიანეს 28.06.21წ. - 4000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო მეორე ეტაპზე, არაუგვიანეს 28.09.21წ. - 17000 აშშ დოლარის ოდენობით. მორიგების აქტს ხელი მოაწერეს მხარეთა წარმომადგენლებმა. მორიგების პირობების მიხედვით, 4000 აშშ დოლარის მოპასუხის მიერ ანაზღაურებისთანავე მოიხსნებოდა აკრძალვა სარჩელის უზრუნველყოფის საგანზე (მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე).
- ადვოკატმა ნ--- მ---------ემ 2021 წლის 7 ოქტომბერს სსიპ აღსრულების

ეროვნულ ბიუროში წარადგინა სააღსრულებო ფურცელი. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიღების ბარათზე მითითებულია შემდეგი ინფორმაცია: „მოვალეს გადახდილი აქვს 4000 აშშ დოლარი და დღეის მდგომარეობით, კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ შეადგენს 17000 აშშ დოლარს“. დოკუმენტი ხელმოწერილია ადვოკატ ნ--- მ---------ის მიერ.

– ადვოკატმა ნ--- მ---------ემ, ლ---– ბ---–---ისათვის გადასაცემად, მოვალე ე–---- კ----------ისაგან მიიღო 4000 აშშ დოლარი, რომელიც არ გადაუცია კლიენტისათვის.

– ადვოკატი ნ--- მ---------ე ლ---– ბ---–---ეს საადვოკატო მომსახურებას უწევდა სამი წლის განმავლობაში. ადვოკატის ჩართულობით, ლ---– ბ---–---ემ მიიღო 17000 აშშ დოლარი.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მხარეთა შორის სადავო ფაქტობრივი გარემოებებიდან დადგენილად მიიჩნია შემდეგი:

– ადვოკატ ნ--- მ---------ეს კლიენტისათვის არ მიუწოდებია ინფორმაცია თავისი სპეციალიზაციის თაობაზე.

– ადვოკატი ნ--- მ---------ე ლ---– ბ---–---ეს არ შეთანხმებია წარმატების ჰონორარზე.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ნ--- მ---------ემ დაარღვია კლიენტის ინფორმირების, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის, კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერი მართვისა და მინდობილი თანხების კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულებები, რადგან კლიენტს ინფორმირების გარეშე გაუწია საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო დავაზე, როდესაც მხოლოდ სისხლის სამართალში ჰქონდა სპეციალიზაცია; არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და თავად მიიღო გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, რომელიც არსებითად უკავშირდებოდა კლიენტის საქმის შედეგს; არ მართა კლიენტის ფულადი სახსრები კეთილსინდისიერად - კლიენტის ინფორმირებული თანხმობის გარეშე ჩაირიცხა ეს თანხები პირად ანგარიშზე, შემდეგ კი არ დაუბრუნა კლიენტს მისთვის გადასაცემად მესამე პირისაგან მიღებული თანცა (,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები: 5(ა), 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: 8.5, 8.6, 8.13, 8.15).

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ

დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 22 ოქტომბრის №076/21 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა - ნ--- მ---------ემ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ კლიენტისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული 500 აშშ დოლარი მიღებული ჰქონდა საქმის მასალების გაცნობისა და დეტალურად შესწავლის მიზნით, ხოლო წარმატების ჰონორარზე, რომელიც ამოგებული თანხის 20% უნდა ყოფილიყო - კლიენტს შეუთანხმდა ზეპირსიტყვიერად, რაზეც მას უარი არ განუცხადებია.

საჩივრის ავტორის მითითებით, კლიენტისათვის ცნობილი იყო მისი სპეციალიზაციის შესახებ და ის, რომ მხოლოდ პირველ ინსტანციაში შეეძლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობის მიღება. მისთვის ასევე ცნობილი იყო, რომ თუ საქმე მორიგებით ვერ დამთავრდებოდა და რომელიმე მხარე გაასაჩივრებდა ზედა ინსტანციებში, ამ შემთხვევაში, მომსახურებას განაგრძობდა რომელიმე მისი ნაცნობი კოლეგა, რაზეც კლიენტმა ასევე თანხმობა განაცხადა.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ მან წერილობით არ გააფორმა წარმატების ჰონორარზე ხელშეკრულება, დარღვევას არ წარმოადგენდა, ვინაიდან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება იყო სარეკომენდაციო ხასიათის და არა სავალდებულო. ნ--- მ---------ემ ასევე ყურადღება გაამახვილა გამოყენებული სახდელის არაპროპორციულობაზე ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის მოტივით.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ნ--- მ---------ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 22 ოქტომბრის №076/21 გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება

მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

ამავე კანონის მეორე მუხლის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას. მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; მე-6 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი - ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.

ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ადვოკატს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა, მოსამართლეობის, პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალიზაციის მიხედვით, უფლება ეძლევა, საადვოკატო საქმიანობა შესაბამის დარგში განახორციელოს.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა, ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ; ამავე მუხლის მე-13 და მე-15 პუნქტების მიხედვით კი - ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს, უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატ ნ--- მ-

--------ესა და ლ----- ბ-------ეს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2018 წლის 28 მარტს. ადვოკატ ნ--- მ---------ეს ლ----- ბ-------ისთვის იურიდიული მომსახურება უნდა გაეწია სამოქალაქო საქმეზე, რომელშიც მოდავე მხარეებს წარმოადგენდნენ ლ----- ბ-------ე და ე------ კ----------ი. ამ მიზნით ნ--- მ---------ემ მხარესთან გააფორმა წერილობითი შეთანხმება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის სტატუსით; კერძოდ; ხელშეკრულებაში მიუთითა მისი სიითი ნომერი, ადვოკატის უფლება-მოვალეობანი და სხვა, რისი უფლებამოსილებაც ადვოკატ ნ--- მ---------ეს, თავისი სპეციალიზაციიდან გამომდინარე, არ გააჩნდა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია 2014 წლის რეკომენდაციაში მიუთითებს, რომ იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა - ადვოკატის, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სტატუსი გამოხატავს კონკრეტული პირის კავშირს ადვოკატთა ასოციაციასთან და ადვოკატთა ერთიან სიაში რიცხული მოქმედი ადვოკატები, რომელთაც არ აქვთ წევრობა შეჩერებული, ექვემდებარებიან ადვოკატთა პროფესიულ ეთიკურ ვალდებულებებს; სწორედ ადვოკატის სტატუსი წარმოშობს ვალდებულებას ადვოკატთა მრავალათასიანი კორპორაციის წინაშე, რომელიც შეესაბამება ეთიკის კოდექსში გაცხადებულ 3 მაღალ მიზანს - თითოეულმა ადვოკატმა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.

ამავე რეკომენდაციის თანახმად, როდესაც ადვოკატი არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე, ანუ საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის დარგში და ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანიასთან - სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი კომპანიას წარმოადგენს პირველ ინსტანციაში, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, როგორც კომპანიის იურისტი. ამ შემთხვევაში, ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, შესაძლოა დადგეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, კერძოდ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულების დაუცველობის საფუძვლით.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის თანახმად, ადვოკატს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა, მოსამართლეობის, პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალიზაციის მიხედვით, უფლება ეძლევა, საადვოკატო საქმიანობა შესაბამის დარგში განახორციელოს. ამ დანაწესის იმპერატიულობით კანონმდებელი

აღიარებს ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობას - შესაბამის სფეროში სპეციალური ცოდნის, უნარ-ჩვევების შეძენით, უზრუნველყოს კლიენტის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების მაღალკვალიფიციური სამართლებრივი დაცვა. შესაბამისი სამართლის მიმართულებით ადვოკატის სპეციალიზაცია სწორედ ამ სფეროში მისი მაღალკვალიფიციურობის დადასტურებაა, რაც, მართალია, არ ნიშნავს იმას, რომ ადვოკატს არ შეუძლია კლიენტს იურიდიული კონსულტაცია გაუწიოს სამართლის სხვა დარგშიც, თუმცა ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ადვოკატმა კლიენტს მკაფიოდ და ნათლად მიაწოდოს მისი სპეციალიზაციის შესახებ ზუსტი ინფორმაცია და იურიდიული მომსახურების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებისას მასში ასახოს კლიენტის წინასწარი თანხმობა შესაბამის სამართლის დარგში მისი ინტერესების სწორედ კონკრეტული, არასპეციალიზებული ადვოკატის მიერ დაცვის შესახებ. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც წერილობითი ხელშეკრულება ამ მიმართებით რაიმე დათქმას არ შეიცავს, სადისციპლინო პალატა ეთანხმება ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სპეციალიზაციის შესახებ კლიენტის ინფორმირების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ნ--- მ---------ეს არც ეთიკის კომისიაში და მოგვიანებით, არც სადისციპლინო პალატაში საქმის განხილვისას არ წარმოუდგენია სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ; უფრო კონკრეტულად, იმის შესახებ, რომ მას საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა სისხლის სამართლის მიმართულებით და კლიენტი თანხმობას აცხადებდა მისი ინტერესები სამოქალაქო სამართალში არასპეციალიზებულ ადვოკატს დაეცვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა ნ--- მ---------ემ არ განახორციელა კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა და არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია მისი სპეციალიზაციის თაობაზე, რითაც დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი.

წარმატების ჰონორარის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ადვოკატის იურიდიული მომსახურება ფიქსირებული ჰონორარის, როგორც საბაზისო ხარჯების გარდა, დამატებით შესაძლებელია მოიცავდეს წარმატების ჰონორარის ანაზღაურებასაც, როგორც ერთგვარ პირობით საფასურს, რომლის გადახდის ვალდებულება კლიენტს დავის მის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში წარმოეშობა.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ოდენობის შესახებ რაიმე მოწესრიგებას ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი

ან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი *(დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს)* არ შეიცავს. ამაზე ყურადღების გამახვილება პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ მაგალითად, ევროგაერთიანების ადვოკატთა (CCBE) ქცევის მოდელური კოდექსი, რომელიც სახელმძღვანელოა ევროგაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ადვოკატთათვის, აწესრიგებს ჰონორარის საკითხს; კერძოდ, 3.4 პუნქტით დადგენილია, რომ: 3.4.1. ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი. 3.4.2. ადვოკატსა და კლიენტს შორის სხვაგვარი შეთანხმების არსებობის გარდა, ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი ექვემდებარება რეგულირებას იმ ადვოკატურისა თუ იურიდიული საზოგადოების წესების შესაბამისად, რომელსაც ადვოკატი მიეკუთვნება. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.3 მუხლი უკრძალავს ადვოკატს აწარმოოს ე.წ. Pactum Quota de Litis (3.3.1 ქვეპუნქტი), რაც ნიშნავს 3.3.2. შეთანხმებას ადვოკატსა და კლიენტს შორის, რომელიც დადებულია იმ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, რომელშიც კლიენტი ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და რომლის საფუძველზე კლიენტი იღებს ვალდებულებას ადვოკატს გადასცეს წილი საქმის შედეგიდან, მიუხედავად იმისა, თუ წილი თანხას ან სხვა სარგებელს წარმოადგენს, რომელსაც კლიენტი საქმის გადაწყვეტისას მიიღებს. 3.3.3 Pactum Quota de Litis არ მოიცავს შეთანხმებას, რომლის თანახმად, ჰონორარი გამოიანგარიშება ადვოკატის მიერ აღებული საქმის ღირებულების საფუძველზე, ოფიციალურად დამტკიცებული ჰონორარების სისტემის ან ადვოკატზე იურისდიქციის მქონე კომპეტენტური ორგანოს კონტროლის ქვეშ *(სუსგ №ას-894-2021, 23.12 .2021 წ.).*

ეთიკის კომისიის 2020 წლის ერთ-ერთ რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ადვოკატის გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრა ან სამომავლოდ, საქმის წარმატების დასრულების შემთხვევაში გადასახდელი საზღაურის გამოთვლის წესი და მისი დაკონკრეტება ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმების საგანია და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი ნორმებით რაიმე დათქმა ამის თაობაზე არ არსებობს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ საადვოკატო მომსახურების პირობების თაობაზე შეთანხმებისას, მათ შორის, ჰონორარის განსაზღვრის დროს, ადვოკატის მიერ დაცული იყოს კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც მოიცავს ადვოკატის მიერ გასამრჯელოს, წარმატების ჰონორარის ოდენობის მკაფიოდ განსაზღვრას და აღნიშნულის თაობაზე კლიენტის ინფორმირებას.

ეთიკური სტანდარტებით, კლიენტისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, თუ რა მომსახურებას სთავაზობს ადვოკატი მას შეთავაზებულ ჰონორარში. აღნიშნული ინფორმაციის მიუწოდებლობა ჩაითვლება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ჰონორარის ოდენობისა და მისი გამოთვლის წესის

შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების (მუხლი 8.8) დარღვევად *(იურიდიული ეთიკა, 2021წ.; გვ. 364-372; რედ. ლორია ანა).*

ჰონორარის მკაფიოდ და კლიენტისათვის მისაღები წესით განსაზღვრის ვალდებულების შესრულება, კლიენტის გარდა, თვით ადვოკატის ინტერესსაც ემსახურება, რადგან ასეთ ვითარებაში განსაზღვრულია კლიენტის მიერ გასაწევი თუ გაწეული ხარჯი, რაც ადვოკატის ჰონორარს წარმოადგენს და წარმატებული სამართალწარმოების შედეგად მოწინააღმდეგე მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკრეტული ჰონორარის დაკისრების მოთხოვნის ფაქტობრივ წინაპირობას ცხადად წარმოაჩენს სასამართლოს წინაშე *(სუსგ №ას-1117-2020, 25.03.2021წ.).*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.8 მუხლი ავალდებულებს ადვოკატს, რომ მისი საქმიანობის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის, რაც სსკ-ის 8.3 მუხლით კერძოსამართლებრივი ურთიერთობისას მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპის გამოხატულებაა პროფესიული ეთიკური ვალდებულების ჭრილში; აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების რომელიმე არსებითი პირობის დაუზუსტებლობა, ბუნდოვანება ადვოკატის სამართლებრივი რისკია.

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოწესრიგებიდან გამომდინარე, ადვოკატს ეკისრება კლიენტის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელისათვის ყველა ფინანსური ვალდებულების /რომელიც სასამართლო ხარჯების გარდა, ადვოკატისათვის გადასახდელ ჰონორარსაც მოიცავს/ შესახებ ინფორმაციის დროულად და კვალიფიციურად მიწოდება, რაც კერძოსამართლებრივი გარიგების მონაწილე კონტაჰენტთა იმთავითვე პრეზუმირებული კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს *(სუსგ №ას-1161-1116-2016, 12.10.2017 წ.).*

სადისციპლინო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს მხარეთა შორის 2018 წლის 28 მარტს წერილობით გაფორმებულ იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებაზე, რომლითაც განისაზღვრა ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების წესი და პირობები. ხელშეკრულების 4.1 პუნქტში მითითებულია, რომ კლიენტი ადვოკატს უხდის იურიდიული მომსახურების საფასურს (ჰონორარს) 500 აშშ დოლარის ოდენობით (აღნიშნული თანხის ეკვივალენტი ლარში დაკონკრეტებულია ხელშეკრულებაში - 1200 ლარის ოდენობით). დასახელებული ხელშეკრულება ადვოკატისათვის წარმატების ჰონორარის გადახდის სახით რაიმე დათქმას არ შეიცავს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 28 მაისის განჩინებაში - მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (ს.ფ 45) და ამავე თარიღით

შედგენილ მორიგების აქტში (ს.ფ.50) მითითებულია, რომ მოპასუხე ვალდებულია აუნაზღაუროს მოსარჩელეს დავალიანებული თანხა - 21 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით (მორიგების აქტის გაფორმების დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით) შემდეგი გადანაწილებით: 4 000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი მოპასუხის მიერ ანაზღაურდება არაუგვიანეს 14.07.2021 წლისა; ასანაზღაურებელი თანხის დარჩენილი ოდენობა - 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი მოპასუხის მიერ უნდა ანაზღაურდეს არაუგვიანეს 28.09.2021 წლისა.

საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ ადვოკატმა ნ--- მ---------ემ, ლ---- ბ------ისათვის გადასაცემად, მოვალე ე----- კ-----------ისაგან მიიღო 4 000 აშშ დოლარი, თუმცა სადავო თანხა არ გადაუცია კლიენტისათვის, ამასთან 2021 წლის 7 ოქტომბერს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროში წარადგინა სააღსრულებო ფურცელი. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიღების ბარათზე მითითებულია შემდეგი ინფორმაცია: „მოვალეს გადახდილი აქვს 4 000 აშშ დოლარი და დღეის მდგომარეობით, კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ შეადგენს 17000 აშშ დოლარს“. დოკუმენტი ხელმოწერილია ადვოკატ ნ--- მ---------ის მიერ.

საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად წერილობითი ხელშეკრულების არარსებობისა, კლიენტთან წარმატების ჰონორარზე შეთანხმებული იყო ზეპირი ფორმით, რასაც უარყოფს ლ---- ბ------ე. მეტიც, საქმეში წარმოდგენილი ადვოკატსა და ლ---- ბ------ის ძმას შორის პირადი მიმოწერის ამსახველ ამონაბეჭდში მითითებული საუბრის შინაარსი გამორიცხავს მხარეთა შორის წარმატების ჰონორარზე შეთანხმებას (ს.ფ. 52, 64).

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ ჰონორარის ოდენობისა და მისი გაანგარიშების წესის შესახებ კლიენტის ინფორმირების არსებობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, საჩივრის ავტორმა ვერ დაძლია გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ხელშეკრულებაში არ არსებობს ჩანაწერი წარმატების ჰონორართან დაკავშირებით, ხოლო ადვოკატს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ლ---- ბ------ე ინფორმირებული იყო და თანხმობას აცხადებდა ადვოკატისათვის წარმატების ჰონორარის გადახდასთან დაკავშირებით, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატი ნ--- მ---------ე არ შეთანხმებია კლიენტს წარმატების ჰონორარზე და თავად მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გარდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებისა, მოვალისაგან მიღებული - კლიენტისათვის განკუთვნილი თანხიდან, გამოექვითა და მიეღო თანხა წარმატების ჰონორარის სახით, რითაც

დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 და მე-15 პუნქტების მოთხოვნები.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის; ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით (პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

სადისციპლინო პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატ ნ--- მ---------ის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა (მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი, მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი, მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი, მე-8 მუხლის მე-13 პუნქტი და მე-8 მუხლის მე-15 პუნქტი) მოთხოვნები; კერძოდ, დაარღვია კლიენტის ინფორმირების, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის, კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერი მართვისა და მინდობილი თანხების კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულებები - ადვოკატმა სპეციალიზაციის თაობაზე კლიენტის ინფორმირების გარეშე გაწია საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო დავაზე; არ მართა კლიენტის ფულადი სახსრები კეთილსინდისიერად - კლიენტის ინფორმირებული თანხმობის გარეშე ჩარიცხა ეს თანხები პირად ანგარიშზე და არ დაუბრუნა კლიენტს კუთვნილი, მოპასუხისაგან მიღებული ფულადი სახსრები.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, დოქტრინის მიხედვით,

ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დადების მიზანია საზოგადოების დაცვა, სამართლებრივი სისტემის მთლიანობის დაცვა, მართლმსაჯულების სამართლიანად უზრუნველყოფა და სხვა ადვოკატების მსგავსი გადაცდომისგან შეკავება *(მაგ., Gillette v. Edison, 593 F. Supp. 2d 1063, 1066 (D.N.D. 2009)).*

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ--- მ---------ის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია, ხოლო დაკისრებული სახდელის სახე - საადვოკატო საქმიანობის უფლების ექვსი თვით ჩამორთმევა პროპორციულია ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან. ამასთანავე, სადისციპლინო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ადვოკატ ნ--- მ---------ეს კლიენტისთვის დღემდე არ დაუბრუნებია კუთვნილი, მოპასუხისაგან მიღებული ფულადი სახსრები, რაც შესაძლოა მიჩნეულიყო შემამსუბუქებელ გარემოებად დადებული სახდელის შემსუბუქების თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ადვოკატ ნ--- მ---------ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{61} მუხლით, 75^{62} მუხლით, 75^{63} მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75^{64} მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ა
   დვოკატ ნ--- მ---------ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უ
   ცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 22 ოქტომბრის №076/21 გადაწყვეტილება;
3. გ
   ადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გ
   ადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე	გოჩა აბუსერიძე
მოსამართლეები:	ალექსანდრე წულაძე
	რევაზ ნადარაია